ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 508

“20” ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.041.160) შესყიდვის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-19 მუხლის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების და 111-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.041.160) შესყიდვის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის №23.1556.1743 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.041.160) შესყიდვის საკითხს, ნასყიდობის საფასურით 57 150 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს უზრუნველყოს უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში შესყიდვასთან დაკავშირებით, შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება უძრავი ქონების მესაკუთრესთან, ამ განკარგულების გამოცემიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის მიხედვით.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განახორციელოს ნასყიდობის საფასურისთვის გათვალისწინებული თანხის გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან.

4. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანხის გამოყოფის შემდეგ, დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს №01.72.14.041.160 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების სსიპ

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ, უზრუნველყოს ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ნასყიდობის თანხის გადარიცხვა ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში, ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტში მითითებულ გამყიდველის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

პროექტი

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ.თბილისი --- .----. 2023წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 111-ე მუხლის შესაბამისად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის №------.და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №---- - განკარგულებების საფუძველზე,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში - „სააგენტო“), მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი **ირაკლი თავართქილაძის მიერ** (პ/ნ: 01024052796) და მეორეს მხრივ

მანანა სოზიაშვილის (პ/ნ 31001037788) (მის:)

ვაფორმებთ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“)

- **ვინაიდან**, 2012 წლის 27 აპრილის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №4-13 გადაწყვეტილებით მანანა სოზიაშვილის საკუთრებაში არსებულ №01.72.14.041.160 საკადასტრო კოდით (გამიჯვნამდე კოდი: №01.72.14.041.056) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭა სატრანსპორტო ზონა;
- **ვინაიდან**, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 06 ნოემბრის №3/1813-16 გადაწყვეტილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება მანანა სოზიაშვილის მიმართ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის ზონის გაუარესების ფარგლებში;
- **ვინაიდან** ვინაიდან არსებობს მაღალი საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესი, №01.72.14.041.160 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე შენარჩუნდეს საავტომობილო გზის ფუნქცია.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის 2020 წლის 2 ივლისის №31-01201842702 წერილით სააგენტოს ეთხოვა მითითებული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ნასყიდობის საგანი.

1.1 ამ ხელშეკრულებით, გამყიდველმა გაყიდა, ხოლო მყიდველმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად შეისყიდა **ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.72.14.041.160)** (შემდგომში - „ნასყიდობის საგანი“).

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით, განცხადების რეგისტრაციის ნომერი: № – მომზადების თარიღი:

მუხლი 2. ნასყიდობის საფასური, გადახდის წესი და პირობები

2.1. უძრავი ნივთის შესყიდვის საფასურად (ნასყიდობის საფასურად) განსაზღვრულია 57 150 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ორმოცდაათი) ლარი.

2.2. ნასყიდობის საფასური გადახდილ უნდა იქნეს არა უგვიანეს №01.72.14.041.160 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში (გარდა ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა) რეგისტრაციის შემდეგ 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.3. ნასყიდობის საფასური გადახდილ უნდა იქნეს გამყიდველის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშ(ებ)ზე თანაბარწილად თანხის გადარიცხვის გზით:

საბანკო ანგარიში (საბანკო რეკვიზიტები ეროვნულ ვალუტაში (ლარი)):

მიმღების ბანკი: სს „თიბისი"; ბანკის კოდი: TBCBGE22;

დ.აღმაშენებლის გამზ. 70

თბილისი,0102, საქართველო

მიმღები: მანანა სოზიაშვილი

მიმღების ანგარიში: GE79TB7825445061600033

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

3.1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2. ნასყიდობის საგანზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან ერთად სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ვალდებულებად დარეგისტრირდება ნასყიდობის საფასურის გადახდის ვალდებულება და შესაბამისად, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: **„მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ნასყიდობის საფასური".**

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

4.1. გამყიდველი აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის წარმოადგენს მის საკუთრებას. უძრავი ნივთი არის უფლებრივად უნაკლო. არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერით.

4.2. გამყიდველი ხელშეკრულების ხელმოწერით უარს აცხადებს №01.72.14.041.160 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების და სახელმწიფოს მიმართ ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე ან/და პრეტენზიაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, გამყიდველი აცხადებს რომ არც ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის და არც სამომავლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების და სახელმწიფოს მიმართ არ წარმოეშობა რაიმე სახის ქონებრივი ან სხვა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც საქართველოს საერთო სასამართლოებში, ისე ნებისმიერი სხვა ქვეყნის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ან/და არბიტრაჟში.

4.3. ნასყიდობის საფასურის გადახდამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე, მყიდველს არა აქვს უფლება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს ნასყიდობის საგანი.

4.4. ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება დასტურდება გამყიდველის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

4.5. ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებული ვალდებულება უქმდება სააგენტოს მიერ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ამ ხელშეკრულების მეორე მხარის ან სხვა პირის თანხმობას. სააგენტოს წერილობით მოთხოვნასთან ერთად სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარედგინოს თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4.6. გამყიდველი ადასტურებს, რომ 4.4 პუნქტით გათვალისწინებული, ვალდებულების გაუქმების შესახებ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი მოთხოვნა, გამყიდველის თანხმობის გარეშეა სრული საფუძველი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის - განახორციელოს ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების გაუქმების რეგისტრაცია ნასყიდობის საგანზე.

4.7. ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის შესაძლოდ დარღვევის შემთხვევაში, მყიდველს გამყიდველის მიერ დამატებით ეძლევა 1 (ერთ) თვიანი ვადა, ამ ვალდებულების შესასრულებლად.

4.8. 4.7 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადის დარღვევის შემთხვევაში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი გამყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ნასყიდობის საგანი ბრუნდება გამყიდველის საკუთრებად და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირდება მისი საკუთრების უფლება, თუ სსიპ - ქონების მართვის სააგენტო სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ წარუდგენს ნასყიდობის საფასურის დამატებით მიცემულ ვადაში გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრული თანხის მყიდველის მიერ გადახდილი ნაწილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუბრუნდება მყიდველს იმავე ოდენობით, მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს. თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

6.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით.

6.5. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

გამყიდველი:

მანანა სოზიაშვილი (პ/ნ 31001037788)

მყიდველი:

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

ირაკლი თავართქილაძე (პ/ნ: 01024052796)